დანართი 1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახური

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს ადმინისტრაციულ სამსახურს ევალება მერიის საქმიანობის ორგანიზაციული, დოკუმენტური, საკადრო, სამართლებრივი (იურიდიული), ადმინისტრაციული და სხვა საორგანიზაციო ხასიათის საკითხების უზრუნველყოფა.

<u>მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება</u> ორგანიზაციულ-ტექნიკურად უზრუნველყოფს მერიის სამუშაო თათბირების, აგრეთვე მერის წარმომადგენლების და თანამდებობის პირების მიერ სხვა ღონისძიებების ჩატარებას. მერიის საჯარო მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღების, სამსახურებრივი გადაადგილების, გადაყვანის, გათავისუფლების, უფლებამოსილებათა შეჩერების, შვებულებაში გასვლის და მივლინებების დოკუმენტურ გაფორმებას. ადგენს საჯარო მოსამსახურეთა შვებულებაში გასვლის გრაფიკს.

ახდენს საჯარო ინფორმაციის რეესტრის წარმოებას და საჯარო ინფორმაციის გაცემას.

ადმინისტრაციულ სამსახურში ხდება საქმეთა მომზადება არქივისთვის ჩასაბარებლად, საქმეთა ნომენკლატურის შედგენა და დაარქივება.

2024 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით ადმინისტრაციულ სამსახურში დამუშავდა და დარეგისტრირდა 4260 ბრძანება.

შემოსული წერილებისა და განცხადებების რაოდენობამ 2024 წლის მდგომარეობით შეადგინა 10205.

mms-ში დარეგისტრირდა 6351 განცხადება.

გასული წერილების რაოდენობამ შეადგინა 11 807.

შიდა მოხსენებითი ბარათებისა და განცხადებების ბრუნვამ შეადგინა 712.

ელექტრონულად შემოვიდა 4804 განცხადება.

დარეგისტრირდა 139 სამსახურებრივი აქტი.

მომზადდა და დარეგისტრირდა ცხოვრების ფაქტის დადგენის შესახებ 08 განკარგულება.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 60 მომართვა რომელიც შეიცავდა 159 ინფორმაციას. პასუხი გაეცა მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას კანონით გათვალისწინებულ ვადებში, პერსონალური მონაცემების დაცვით.

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული კოლეგიური ორგანოს - პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია”- ს მინიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტის დაგენის მოთხოვნით მომართა 8 (რვა) მოქალაქემ. რვავე მოქალაქის თხოვნა იქნა დაკმაყოფილებული და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამტრედიის სამოქალაქო რეესტრის სამსახურში წარსადგენად გაიცა შესაბამისი განკარგულებები და ცნობები.

2024 წლის განმავლობაში მომზადდა 15 შრომითი და 57 ადმინისტრაციული ხელშეკრულებების პროექტი. დროებით დაქირავებული საცხოვრებლის ქირის თანხის გადახდის 9 (ცხრა) ხელშეკრულება.

ადმინისტრაციის სამსახურში მზადდება:

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული და ქარქცეული ხეების მოჭრასთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის სხდომების ოქმები და ამასთან დაკავშირებული წერილები.
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთების ფართობებისა და საზღვრების დადგენის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის ოქმები და შესაბამისი ბრძანებები.
- ხდება სატენდერო კომისიის ოქმების რეგისტრაცია და დაარქივება.
- ახდენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის რეგისტრაციას.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კატეგორიის შეცვლის საზოგადოებრივი საჭიროების და მიზანშეწონილობის განმხილველი კომისიის სხდომის, ქონების განკარგვის კომისიის სხდომის ოქმების რეგისტრაციასა და დაარქივებას.

ადმინისტრაციული სამსახური ორგანიზებას უწევს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის სასწავლო პრაქტიკასა და სტაჟირების გავლას სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ფარგლებში დასაქმებულთა შესახებ გენდერული ნიშნით სტატისტიკის წარმოებასა და ანალიზს. სამსახური მონაწილეობს გენდერული ბიუჯეტირების დაგეგმვაში;

ადმინისტრაციულ სამსახურში ხდება ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში eHRMS-ში მუშაობა. ასევე APPS.MSDA.GE -ში ადამიანური რესურსების მართვის მოდულში მუშაობა.

ახდენს საჯარო მოსამსახურეთა სამსახურეობრივი მოწმობების გაფორმებასა და აღრიცხვას.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებებისა და ბრძანებების აღრიცხვას.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთა მივლინებების გაფორმებასა და აღრიცხვას.

ადმინისტრაციული სამსახური უზრუნველყოფს მერიისა და საკრებულოს საწვავის განაწილებასა და ყოველი თვის ბოლოს საწვავის ტრანზაქციების ამოღებას პროგრამიდან და ამის საფუძველზე ახდენს საწვავის ჩამოწერის აქტების მომზადებას;

უზრუნველყოფს საკრებულოს სხდომებზე მერიის მიერ ინიცირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის დახარისხებას და მიწოდებას სამხარეო ადმინისტრაციისთვის.

2024 წლის საანგარიშო პერიოდში პერსონალური მონაცემების გაცემის ფაქტი არ დაფიქსირებულა, ასევე აღნიშნულ პერიოდში საჯარო მოსამსახურეების მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ქონია.

<u>ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება</u> სასამართლოში აწარმოებდა 20 საქმეს, აქედან ერთ საქმეზე ჩაანაცვლა სათანადო მოპასუხით, 2 დაკმაყოფილა მერიის სასარგებლოდ, 4 საქმეზე არ დაკმაყოფილდა სარჩელი მერიის წინააღმდეგ, 2 საქმეზე დავა დასრულდა მორიგებით, 2 საქმეზე შეწყდა მერიის მიმართ საქმის წარმოება, 1 საქმეზე გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, (ზემოაღნიშნული 20 საქმიდან ხუთზე) მიმდინარეობს წარმოება. განყოფილებამ განიხილა ბინების უსასყიდლო პრივატიზაციის 45 საქმე, დასარეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების გაყოფა გაერთიანების 97 საქმე. იურიდიული განყოფილება ჩართულია მერიაში მოქმედ ყველა კომისიაში. ასევე საკრებულოში განსახილველად გადასული საკითხების უმრავლესობა მომზადებულია იურიდიული განყოფილების მიერ.

იურიდიული განყოფილების მიერ მომზადდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხვისათვის ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფის შესახებ ბრძანების 50 პროექტი. შესყიდვებისა და მოსაკრებლების განყოფილებასთან ერთად ჩართულია დასახლებული ტერიტორიების დასუფთავების მოსაკრებლის თანხების გადახდის ადმინისტრირების საკითხებში.

იურიდიული განყოფილება სამართლებრივ უზრუნველყოფას უკეთებს მერიის ყველა სამსახურს. კონსულტაციებს უწევს მოქალაქეებს. ასევე თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან.

<u>ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ ერთეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების განყოფილება 2024 წლის განმავლობაში უზრუნველყოფდა:</u>

- მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: საჯარო და სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ქონების ეროვნულ სააგენტოსთან, წიაღის ეროვნულ სააგენტოსთან ურთიერთობა; სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების და პროექტების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას.

-საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის მიერ მოთხოვნილი სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაციების მოძიებასა და სისტემატიზაციას; სხვადასხვა სოციალური აქციების

ორგანიზებას (ვაქცინაციის მარათონი, უფასო სამედიცინო კვლევები); ახდენს კოორდინაციას სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ურთიერთობაში (აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებზე);

-სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლების საერთო კრებების მომზადებას, საპროექტო წინადადებების მიღებას, დამუშავებას, დადგენილებით განსაზღვრული კატეგორიების კონტროლს, კრებების გრაფიკის შედგენას, დასახლების საერთო კრების ჩატარების უზრუნველყოფას, შესაბამისი დოკუმენტაციის მერიის უფლებამოსილი სამსახურებისთვის წარმოდგენას; პროგრამასთან დაკავშირებულ პროექტირების და სამუშაოების წარმოების კონტროლს. სოფლის პროგრამის ფარგლებში ჯამურად 50 დასახლებაში განხორციელდა 90 პროექტი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები თავის სამოქმედო ტერიტორიაზე მონაწილეობდნენ მიმდინარე და განსახორციელებელი სამუშაოების მონიტორინგსა და განხილვაში. ახორციელებდნენ ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე განხორციელებული სამუშაოების პერიოდულ კონტროლს. დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში საჯარო და სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ურთიერთობაში საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებდნენ სხვადასხვა სახის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას (მიწის რეგისტრაციის ფარგლებში, გარდაცვალების ოქმები და ა.შ.).

ახორციელებდნენ მიწის ნაკვეთების პრივატიზების/იჯარის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ან სხვა საკითხების შესახებ მოსახლეობის აზრის მოკვლევას და მუნიციპალიტეტისთვის წარმოდგენას.

ეკონომიკური განვითარების ეკონომიკური სტატისტიკის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სამსახურში შემოვიდა 1317 ზე მეტი წერილი აქედან 1024 ეკუთვნოდა ეკონომიკის სფეროს, 259 სოფლის მეურნეობის და ბუნებრივი რესურსების საკითხს. ქონების განკარგვის კომისიის მიერ განხილულ იქნა 34 საკითხი.

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მუნიციპალიტეტმა საკუთრებაში მიიღო 5 უძრავი ქონება, რომელთა სავარაუდო ღირებულება შეადგენს 100000 ლარზე მეტს. ასევე დაწყებულია რამოდენიმე ქონება ქონებაზე გადმოცემის პროცედურები.

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სამსახურის მიერ 34 ლოტზე გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი აქედან 23 არ შედგა. 2024 წელს აუქციონის შედეგად გაყიდული ქონებიდან მუნიციპალიტეტმა მიიღო 2 396 110ლარი. და იჯარით გაცემული ქონებიდან წელიწადში უნდა მიიღოს 12600 ლარი.

ბუნებრივი რესურსების კარიერებთან დაკავშირებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესუსების სამინისტროს თხოვნის საფუძველზე გაიცა 32 რეკომენდაცია. ჯამურად

თანხმობა გაცემულია 2 800 000 კუბამეტრ ქვიშა-ხრეშზე რომლის სალიცენზიო მოსაკრებლიდან შემოსავალი შეადგენს 560 000 ლარს სალიცენზიო პერიოდის განმავლობაში

56 ერთეულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს შეეცვალა კატეგორია და გადაყვანილ იქნა არასასოფლოში,რითაც განმცხადებლებს მიეცათ შესაძლებლობა განახორციელონ სხვადასხვა კომერციული პროექტები. 62ჰა სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რომლის საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 338 000 ლარი.

ზედამხედველობის სამსახური

ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლების მიერ პერმანენტულად ხორციელდება ქალაქის, განსაკუთრებულად ცენტრალური ნაწილისა და ჭანტურიას ქუჩაზე იმ ბიზნეს სუბიქტების თუ ფიზიკური პირების გაფრთხილება (სიტყვიერად და წერილობით) , რომლებიც სავაჭროდ იყენებენ საერთო სარგებლობის სივრცეებს (ტროტუარებს), რითაც უზღუდავენ მოქალაქეებს ტროტუარზე გადაადგილების საშუალებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გრძელდება გაფრთხილებებისა და მითითებების მიცემა.

ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის შემოვლა სამშენებლო და მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების შემთხვევების გამოსავლენად. გამოვლენის შემდეგ ხდება დამნაგვიანებლის გაფრთხილება, მითითებისა და გონივრული ვადის მიცემა დანაგვიანებული ტერიტორიის დასასუფთავებლად.

განყოფილების თანამშრომლების მიერ ასევე ხორციელდება სხვა და სხვა სახის ადმინისტრაციულ დარღვევებსა და მოქალაქეთა მომართვებზე რეაგირება. მათ შორის; სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვო დაკავებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის თვითნებურად შეზღუდვაზე, აკუსტიკური ხმაურის ნორმების დარღვევებზე მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე, მოკვლევის განხორციელება ტექნიკური რეგლამენტის – „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების“ მიხედვით.

მოსაკრებლის ადმინისტრირების კუთხით სამსახურის თანამშრომლების მიერ ხორციელდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის შემოვლა და დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული პირებისა თუ ინდივიდუალური მეწარმეებისათვის სიტყვიერი ინფორმაციის მიწოდება მათ მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების (მოსაკრებლის დავალიანების) შესახებ.

იგზავნება წერილები მოსაკრებლის დავალიანების მქონე სუბიექტთან, რისი საშუალებითაც ეცნობა მათ მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების (მოსაკრებლის დავალიანების) შესახებ.

გაფრთხილება ხდება ასევე მოკლე ტექსტური შეტყობინების (sms) სახით. აღნიშნული მოკლე ტექსტური შეტყობინებით (sms), მათ ეცნობათ მოსაკრებლის დავალიანების ოდენობა და გაფრთხილებულნი იქნენ დაგროვილი მოსაკრებლის დავალიანების არ გადახდის შემთხვევაში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ კანონით გათვალისწინებული ღონისძიების გატარების შესახებ.

ყოველთვიურად მიმდინარეობს მოსაკრებლის გადამხდელთა ინფორმირება მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, მათ მიერ გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობის, გადახდის ვადებისა და დავალიანების შესახებ.

გატარებული ღონისძიებების შედეგად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაგეგმილი თანხის ფარგლებში (გეგმით 210 000 ლარი) ჩვენი სამსახურის მიერ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოტანილ იქნა **221 957** ლარი, რაც წლიური გეგმის 105,7 % შეადგენს.

2024 წლის განვლილ პერიოდში შემოვიდა ადგილობრივი თვითმართველობის მიერ შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე გაცემული სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების 97 მშენებლობის ნებართვა.

საპროექტო დოკუმენტაციის მფლობელებს მიეცა შესაბამისი განმარტებები მშენებლობის სანებართო პირობების დაცვაზე და შესრულებაზე.

ექსპლუატაციაში მიღებულია 32 სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი.

განხორციელდა რამდენიმე უნებართვოდ დაწყებული მშენებლობის შეჩერება და დემონტაჟი. კანონმდებლობის შესაბამისად გატარდა საჯარიმო სანქციები 4 (ოთხი) ობიექტზე.

რეგულარულად მიმდინარეობს შემოსული ნებართვების საფუძველზე წარმოებული მშენებლობების დათვალიერება-შემოწმება, ჩატარებულია ქ. სამტრედიაში არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებში მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირება - გაფრთხილება, რომ არ განახორციელონ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებზე რაიმე სახის მიშენება.

მიმდინარე წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 20 797 111 ლარის 243 ინფრასტრუქტურული პროექტი, რაზედაც ზედამხედველობას ახორციელებს ზედამხედველობის სამსახური. მათ შორის:

რგპფ ფონდიდან დაფინასდა - 44 პროექტი ჯამური ღირებულებით 9 337 408 ლარი.

სტიქიის ფონდიდან დაფინანსდა - 18 პროექტი ჯამური ღირებულებით 2 669 461 ლარი.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა - 90 პროექტი, ჯამური ღირებულებით 660 000 ლარი.

მოქალაქეთა ჩართულობის პროგრამით გამოიყო 405 000 ლარი , რომელსაც თანადაფინანსების სახით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაემატა 140 000 ლარი, საიდანაც - 37 პროექტი, ჯამური ღირებულებით 280 000 ლარის დასრულებულია, ხოლო დარჩენილ თანხაზე მიმდინარეობს სამუშაოები

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულია - 50 პროექტი ჯამური ღირებულებით 7 320 877 ლარი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახური

2024 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ფონდების დაფინანსებით განხორციელდა შემდეგი სახის პროექტები:

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით - 44 ლოკაციაზე (30 ლოტი) განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებზეც გამოიყო **10201763** ლარი, მათ შორის რეგ-ფონდის წილი იყო **9337408,00** ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის **924 355,00** ლარი.

განსხორციელებელი პროექტების ძირითადად ნაწილს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში არსებული გზების რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო გზები განთავსებულია როგორც ქალაქის, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ თითქმის ყველა სოფლის მიმართულებით, მათ შორის მაღალმთიან სოფლებშიც, რითაც მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს დაგებული იქნება დაახლოებით 47 კილომეტრამდე გზა, როგორც ასფალტის, ასევე ბეტონის საფარით.

სამუშაოების ფაქტიური შესრულება თითქმის 100 %-ია, ზოგიერთი მათგანი გარდამავალია და შესაბამისად ისინი დასრულების ეტაპზეა.

გარდა ამისა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე წელს განვითარებული **სტიქიური** მოვლენების შედეგად დაზიანებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების აღსადგენად (მათ შორის ფიზიკურ პირების საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზიანისათვის) სახელმწიფოს მიერ გამოიყო თანხა **2 920 000** ლარი, რომლის ნაწილით შეძენილი იქნა თუნუქის სახურავი, ხოლო დანარჩენი თანხით განხორციელდა და ზოგიერთ მათგანზე ეხლაც მიმდინარეობს სამუშაოები (ნაპირსამაგრი; ხიდ-ბოგირების მოწყობა-რეაბილიტაცია; კორპუსების გადახურვა და სხვა.) საბოლოოდ სულ შესრულდება 11 (მათ შორის მრავალსართულიანი კორპუსები, ადმ. შენობები, საბავშვო ბაღები და სხვა შენობები) გადახურვის სამუშაოები, ასევე სახურავის მასალა გადაეცა რამდენიმე ათაეულ ადგილობრივ მოსახლეს. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 ხიდის (მიმდინარე) და შესრულდა 10 ლოკაციაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები.

რაც შეეხება **ადგილობრივი ბიუჯეტიდან** მიმდინარე წელს გამოიყო და განხორციელდა **8 122 751** ლარის სამუშაოები წელს აღნიშნიშნული თანხით ხორციელდება 47 პროექტი 79 ლოკაციაზე, მათ შორისაა 7 სპორტული მოედანი, რამდენიმე ლოკაციაზე მოეწყო ტრენაჟორები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 სკვერს, მოეწყო რამდენიმე მოსაცდელი, განხორციელდა სანიაღვრე არხების

რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდა 5 ბინის გადახურვა, ასევე მოეწყო ფასადი 5 ბინაზე. განხორციელდა გარე განათების ქსელების რეაბილიტაცია - შეიღება განათების ბოძები. სამუსიკო სკოლას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. აშენდა 4 სოციალური სახლი სოციალურად დაუცველებისათვის, რომელიც გრძელდება წელსაც. განხორციელდა გზების რეაბილიტაცია, მათ შორისაა ორმულად შეკეთება. რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ. ბაში კულტურის სახლს. მაღალმთიანი სოფლების წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით შეძენილი იქნა მასალები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ხორციელდება ჯანდაცვის ცენტრის მშენებლობა, სულ თანხით - 425 914,00 **ლარი**

სოფლის განვითარების პროგრამით განხორციელდა სულ - 90 პროექტი; რომლისთვისაც გამოიყო 660,0 ათასი ლარი. სამუშაოები თითქმის ყველგან დასრულდა.

საანგარიშო წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა სხვადასხვა კერძო ობიექტების მშენებლობა და არსებულის რეკონსტრუქცია, ასევე განხორციელ;და დემონტაჟი. სულ გაიცა 114 **მშენებლობის ნებართვა.** რამდენიმე განაცხადზე მიმდინარეობს შესწავლა.

მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური თავის თავში მოიცავს 6 მიმართულებას მათ შორის ერთი განყოფილება.

- ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამსახურში დასაქმეებულია 10 თანამშრომელი (სამსახურსი უფროსი, განყოფილების უფროსი და 8 სპეციალისტი).

სპეციალისტები თავის კომპეტენციის მიხედვით გადანაწილებულია ცალკეულ მიმართულებებზე სამუშაოდ, რომლებიც ყოველდრიურ რეჟიმში ახორციელებენ მათზე დაკისრებული დავალებების შესრულებას. სამსახური ახორციელებს ყველა სახელმწიფო სტრუქტურებიდან მიღებული სხვადასხვა კორესპოდენციების განხილვას და საპასუხო წერილების მომზადებას.

სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის - ადგილობრივი მნიშვნეობის გზების, ხიდების, გარე განათებების, სანიაღვრე მეურნეობის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კომუნიკაციების განვითარებისათვის შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღებას და შესაბამისი ელ. ვერსიების დამუშავებას.

ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოების პროცესში ინფრასტრუქტურის სამსახური მთლიანადაა ჩართული. აღნიშნულ სამუშაოებზე საპროექტო წინანდადებების შემუშავებისა და საორიენტაციო ღირებულებების დადგენის შემდეგ ხდება თითოეული პროექტის მომზადება საკრებულოს სხდომაზე განსახილველად მათი მოწონების მიზნით. მოწონებული პროექტების დაფინანსება კი ხდება საკონსულტაციო საბჭოზე განხილვის შემდეგ. სამსახური სამუშაოების დაწყების დღიდანვე აქტიურადაა ჩართული სამუშაოების პროცესში. ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდებოდა სამუშაოების პროცესზე დაკვირვება და საჭირო შემთხვევაში მონაწილეობს პროექტების კორექტირებების განხილვაში კერძოდ სატენდერო კომისიის მუშაობაში.

სამსახური ახორციელებს ესკიზური ნახაზების დამზადებას, ყველა მიმდინარე რგფ-ისა და სოფლის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების ტექ. დოკუმენტაციების შემოწმება და კონტროლს კორექტირებებზე, სამსახურის შემადგენლობაშია არის ინსპექტირების ჯგუფის წევრები, ასევე სხვადასხვა მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიის წევრები. ვიხილავთ ფიზიკური პირების განცხადებებს. ხდება ავარიული საცხოვრებელი სახლების ასევე საზოგადოებრივი ობიექტების ვიზუალური დათვალიერება და შესაბამისი დეფექტური აქტების შედგენა.

2024 წელს ინფრასტრუქტურის სამსახურს დაეწერა 1500-ამდე კორესპოდენცია, რომლის 80%-ზე მოვახდინეთ რეაგირება.დანარჩენი მიღებულია ცნობის სახით და ნაწილზე მიმდინარეობს შესწავლა-დამუშავება.

ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელის დავალების შემთხვევაში სამსახური მონაწილეობას ღებულობს მშენებლობის დროს ფარული სამუშაოების დათვალიერებასა და აქტის შედგენაში, ასევე ადგენს შესრულებულ სამუშაოებზე მოცულობათა უწყისებს.

გარდა ამისა სამსახური მონაწილეობას ღებულობს მოსწავლეთა ტრანსპორტირების ორგანიზებაში, კერძოდ ,,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამით მიმდინარე სკოლის მოსწავლეთა მომსახურეობა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან დელეგირებული უფლებამოსილებით ხორციელდება ყოველდღიური მონიტორინგი 23 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მომსახურეობაზე.

ზედამხედველობას უწევს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა უსაფრთხო გადაზიდვებს საქალაქო და საგარეუბნო მარშრუტებზე. მონაწილეობას იღებს მოსახლეობის განცხადებებში მითითებული მგზავრთა გადაზიდვების დროს წარმოქმნილი პრობლემების შესწავლა და მათი აღმოსაფხვრელად შესაბამისი რეაგირებაში.

ჯანმთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში

ჯანმთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში მიმდინარე 2024 წელს შემოვიდა 6 200-მდე განცხადება ჩვენს მიერ დაკმაყოფილდა 5 784 განცხადება. მიზნობრივი სოციალური პროგრამა მოიცავს 4 პროგრამას და 28 ქვე პროგრამას, აქედან 7 ქვეპროგრამა ითვალისწინებს ყოველთვიურ დახმარებას. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამის 2024 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენდა 2 113 000 ლარს, წლის ბოლოსთვის გაიზარდა და ბიუჯეტი გახდა 2 572 900 ლარი, აქედან დედათა ბავშვთა დაცვა --407 000 ლარი დახმარება გაეწია 363 ბენეფიციარს, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო თანხა - 4 000 ლარი - 16 , სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრიებული სახლდაზიანებული და უსახკარო მოქალაქეებიის დახმარების პროგრამა (მუხლი 7) - 225 000 ლარი 1 , ერთჯერადი დახმარება - 1 936 900 ლარი დახმარება გაეწია 5371 ბენეფიციარს, ქვემოთ ცხრილში მოცემულია შესაბამის პროგრამებზე დახარჯული თანხები და ბენეფიციართა რაოდენობა

	(ათასი ლარი)	ბენეფიციართა რაოდენობა	შენიშვნა
სოციალური პროგრამები	**2 572,9**	**5754**	
ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	**407,7**	**363**	
ახალშობილთა დახმარება (მუხლი 5) (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 1,0 ლარი)	79,0	241	
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება; (მუხლი 14)	328,7	132	ყოველთვიური
სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო თანხა (მუხლი 10)	**4,0**	**16**	
სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრიებული სახლდაზიანებული და უსახკარო მოქალაქეებიის დახმარების პროგრამა (მუხლი 7)	**225,0**	**4**	
მთლიანი ერთჯერადი დახმარებები	**1 936,2**	**5371**	
მარტოხელა მშობელთა დახმარება (მუხლი 2)	10	40	
მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება; (მუხლი 1)	729,4	1798	1798 მოქალაქეზე ჩარიცხული საგარანტიო, 2500 გაცემული
ასი წლის და მეტი ასაკის უხუცეს დღეგრძელთა დახმარება; (მუხლი 6)	2	1	
შშმ პირების ფინანსური დახმარება; (მუხლი 16)	113	605	

სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება (მუხლი 18)	2	1	
მიცვალებულთა სარიტუალო ხარჯების დაფინანსება; (მუხლი 9)	8	20	
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება (მუხლი 8)	29,3	127	
2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება; (მუხლი 15)	4,0	4	
ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება; (მუხლი 11)	13,8	46	
სტუდენტების დახმარება; (მუხლი 3)	32	31	
მოწყვლადი ოჯახების ფინანსური დახმარება (მუხლი 25)	68	337	
ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში; (მუხლი 17 პუნქტი 2, 3)	304,9	798	
სხვადასხვა სოციალურ კულტურულ-ღონისძიებების ხარჯები (მუხლი 22)	1,5	4	
აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (მუხლი 24.)	223	66	ყოველთვიური
დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება (მუხლი 12)	120	54	ყოველთვიური
დედ-მამით ობოლ ბავშვთა ფინანსური დახმარება; (მუხლი 4)	24	20	ყოველთვიური
ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით , დიაბეტით დაავადებულ და დაუნის სინდრომის ბავშვთა ფინანსური დახმარება. (მუხლი 13)	75	60	ყოველთვიური

ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში; (მუხლი 17. 1, პუნქ)	25,0	48	ყოველთვიური
წითელი ჯვრის თანადაფინანსება (სუბსიდიის სახით) (45 500 ლარი) (მუხლი 26)	57,0		
სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ბინის ქირის გადასახადი . მუხლი 20	21	9	ყოველთვიური
სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების, მრავალშვილიანების, შშმპ ღონისძიებების ტრანსპორტირების ხარჯები (მუხლი 23)	0		
ამანათების შეძენა უდედმამო ბავშვებისთვის, სოციალურად დაუცველი: (შშმ პირებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, მრავალშვილიანებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის) და შეჭირვებული სხვა ოჯახებისთვის (მუხლი 27.)	60	600	300 ბენეფიციარს საღდგომოდ და 300 ბენეფიციარს საახალწლოდ ამანათის ნაცვლად დაერიცხებათ 100-100 ლარი
სამკერვალო საწარმო "გვირილა" -ში დასაქმებულ შშმ ქალების დახმარება ტრანსპორტირების კუთხით. (მუხლი 21)	0		
18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა. (სუბსიდიის სახით) (მუხლი 20)	13,3		დღის ცენტრი ლამპარის კომუნალურის და ტრანსპორტირების ხარჯები
ახალდაქორწინებული ოჯახების წახალისება, (მუხლი 28.)	0		
ბავშვის უფლებების და მხარდაჭერის პროგრამა; (მუხლი 29.)	0		

მუხლი 30. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნენელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლო პირთათვის სპეციალური ტექნიკის შეძენა	0		

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2024 წლის ბიუჯეტი შეადგენდა **354 000 ლარს** (კულტურის, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის ასიგნება - **199 000 ლარი**; ახალგაზრდულ ღონისძიებათა ასიგნება **-43 000 ლარი;** სპორტულ ღონისძიებათა ასიგნება **-112 000** ლარი;). სამსახურის მიერ 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელდა ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები:

- სპეციალურ რეჟიმში მომუშავე ორგანიზაციებისათვის შეძენილი და გადაცემული იქნა საშობაო ამანათები.

- ჩატარდა საშობაო კონცერტი.

- ვუმასპინძლეთ იაპონიის სახელმწიფოს ქაგავას პრეფექტურის ქ მიტოიოს დელეგაციას, სხვდასხვა ლოკაციებზე დაირგო საკურას ნერგები.

- შეძენილი იქნა ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „მთაწმინდის პანთეონი“.

-გაიმართა ეროსი მანჯგალაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

- დედის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა კონცერტი „ლაშა ღლონტი ოჯახით“

- ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა სამტრედიელი ხელოვანი ქალბატონების ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

-გაიმართა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალბატონების დაჯილდოვება .

-სასკოლო ოლიმპიადის რეგიონალურ თამაშებში მონაწილე მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდებისათვის (გეზრბენი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, მინი ფეხბურთი) შეძენილი იქნა სპორტული ფორმები.

- სამტრედიის ინტელექტ კლუბის წევრებით დაკომპლექტებული გუნდი ,,ინტერსტელარი“ , რომელმაც დიდი სლემის“ 2023-2024 წლის გათამაშების ხუთი ეტაპიდან სამში მოიპოვა გამარჯვება და შესაბამისად საერთო ჩათვლაშიც პირველ ადგილს იკავებს 155 გუნდს შორის, დააჯილდოვდა ფულადი პრიზით.

-წლის მანძილზე დაგეგმილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისათვის შეძენილი იქნა სპორტული ინვენტარი

- ჩატარდა მუნიციპალური პირველობა საჯარო და კერძო სკოლის გუნდებს შორის ფრენბურთში, კალათბურთში, ხელბურთში, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, სიგელებით.

- წლის მანძილზე დაგეგმილი სპორტული ღონისძიებებისათვის შეძენილი იქნა თასები და

მედლები.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა სკოლიმპიადის რეგიონალურ ტურნირს 3 x 3 კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდა იმერეთის 12 მუნიციპალიტეტის გუნდები(გოგონბი, ვაჟები). გამარჯვებულები მუნიციპალიტეტმა დააჯილდოვა თასებით, მედლებით, სიგელებით.

-დაფინანსდა მასტერკლასის 7x7 -ის ზონალურ თამაშებში იანეთის საფეხბურთო გუნდის მონაწილეობა.

-სასკოლო ოლიმპიადის რეგიონალურ თამაშებში მონაწილე მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდები (გოგონები, ვაჟები) ტრანსპორტითა და კვებით უზრუნველყო მერიამ.

-25 აპრილს ჩატარდა ღონისძიება „წმინდა ნაზარი ლეჟავას ცხოვრება და მოღვაწეობა“, კონფერენციაში მონაწილეებს მერიისაგან გადაეცათ სიგელები და ბიბლუსის ვაუჩერები .

-26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გაიმართა მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული ღონისძიებები:

გაიმართა ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლების საზეიმო კონცერტი;

„ქართული ხმების“ კონცერტი;

მოეწყო სამხედრო ტექნიკის გამოფენა;

გაიმართა დოღი,ისინდი მარულა ,ცხენბურთი. დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები ;

გაიმართა შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში, სადაც გამარჯვებულ ფალავანს გადაეცა ჭედილა , ასევე გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი ჯილდოთი;

24-26 მაისს გაიმართა საქართველოს გმირის ირაკლი ქუთათელაძის სახელობის ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს საფეხბურთო კლუბების 2013 წლიანებმა, გამაჯვებულები მერიის მიერ დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფულადი ჯილდოთი.

-18 მაისი -ღამე მუზეუმში , ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში მოეწყო თემატური სამხატვრო გამოფენა და კონცერტი, მონაწილეებს გადაეცათ სიგელები და ბიბლუსის ვაუჩერები.

-დაფინანსდა წლის მანძილზე სხვადასხვა გამოფენებში სამტრედიელი მხატვრების მონაწილეობა.

-ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო შემდეგი ღონისძიებები:

1 ინისს გაიმართა სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა, გაიმართა გასართობი შოუ პროგრამა ანიმაციური პერსონაჟების მონაწილეობით, ბავშვებისათვის მოეწყო გასართობი სივრცეები, დეკორაციები და ატრაქციონები;

2 ივნისი- საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით ნაბაკევის სკვერში გაიმართა ანიმაციური ფესტივალი.

-7 ივლისი ქ. ქუთაისში გაიმართა ფესტივალი „იმერეთის ხმა“ , დაფინანსდა მონაწილეთა სამონაწილეო თანხა.

-22 ივნისი- რეაბილიტირებული მომავლის სკვერის გახსნასთან დაკავშირებით გაიმართა გასართობი შოუ პროგრამა ანიმაციური პერსონაჟების მონაწილეობით, ასევე მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა .

-03 ივლისი ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონის მიმდებარედ გაიმართა ფეინთბოლის ტურნირი , გამარჯვებული გუნდი მერიის მიერ დაჯილდოვდა თასით, სიგელით და ფულადი ჯილდოთი.

-19-23 ივლისს ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე ,,ჩოგბურთის კორტებზე''გაიმართა ჩოგბურთი სამტრედიელ მოყვარულთა შორის ,,სამტრედია 2024'' ერთეულთა და წყვილთა თანრიგში. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი ჯილდოთი, თასით, სიგელებით.

-ჩატარდა 8 აგვისტოს გმირების სახ. ტურნირი მინი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ადმინისტრაციული ერთეულების გუნდები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი ჯილდოთი, თასით, სიგელებით.

-13 აგვისტო- სოფელ ჩხენიშში გაიმართა მინი ფეხბურთის ტურნირი, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი ჯილდოთი, თასით, სიგელებით.

- 25-28 აგვისტოს გაიმართა სამტრედიის ,,გრან-პრი“ ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში, გამარჯვებულები დაჯილდოებვდნენ სიგელებითა და ფულადი ჯილდოთი.

- 28 აგვისტოს ნაჩხატაურში ჩატარდა მინი ფეხბურთის ტურნირი , დაჯილდოვდა გამარჯვებული გუნდი.

-6-7-8-9 სექტემბერს ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე ,,ჩოგბურთის კორტებზე''გაიმართა ჩოგბურთის ღია ტურნირი მოყვარულ ჩოგბურთელთა შორის ერთეულთა და წყვილთა თანრიგში.

-ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ჩატარდა ჯგუფი „ურსას“ კონცერტი.

-გაიმართა 2024 წლის გრანტის მფლობელი სტუდენტების დაჯილდოების ღონისძიება.

-21 სექტემბერს სოფელ დიდ ჯიხაიშში ტრადიციულად გაიმართა დოღი სხვადსხვა დისტანციაზე , აღნიშნულ ტურნირში გამარჯვებულები და მსაჯი დაჯილდოვდნენ მედლებით, თასით, სიგელებით, ფულადი ჯილდოთი.

- კულაშში გაიმართა მინი ფეხბურთი ,,კულაშის თასი''.

- ჩატარდა რეზო შანიძის ხსოვნის ტურნირი ჭადრაკში.

-24 სექტემვბერს ჩატარდა ქორეოგრაფიული ფესტივალი "სამტრედია-2024", ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა და სხვა მუნიციპალიტეტების ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა.

- 28 სექტემბერს ნ . ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა სახალხო დღესასწაული „ნიკოობა".

-29 სექტემბერს სახალხო დღესასწაულ „სამტრედიობის" ფარგლებში ჩატარდა მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული ღონისძიებები, კერძოდ:

სხვადასხვა ლოკაციებზე მოეწყო ეთნო კუთხეები;

გაიმართა ადგილობრივი მეწარმეების ნაწარმისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა;

მოეწყო ბარაბან შოუ ანიმაციური პერსონაჟების თანხლებით;

გაიხსნა ტრიო „ სიმების" ვარსკვლავი;

გაიმართა საპატიო სამტრედიელების დაჯილდოება და საზეიმო კონცერტი ტრიო „ ალეგროსა" და „თეატრალურის კვარტეტის" მონაწილეობით;

გაიმართა ჭიდაობა ,,ფალავნობა და მკლავჭიდი;

გაიმართა ავთანდილ ქუთათელაძის სახელობის ტურნირი 3X3 კალათბურთში

მოეწყო ადგილობრივი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა;

გაიმართა დიჯეი გიგა პაპასკირის ელექტრონული მუსიკის საღამო.

-დაფინანსდა სოფ გომის ტურნირები ფეხბურთსა და ფრენბურთში.

-ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარდა სასკოლო ოლიმპიადის მუნიციპალური თამაშები, გამარჯვებული სკოლების გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალურ თამაშებში.

-4 ოქტომბერს ღონისძიებით აღინიშნა მასწავლებლის საერთაშორისო დღე, დაჯილდოვდა დამსახურებული და ღვაწლმოსილი პედაგოგები.

-ჩატარდა ვ.ხელისუფალისა და მ. ქიშმარიას სახელობის ღია ტურნირი ხელბურთში.

-გაიმართა მერაბ არჩვაძის სახ. ტურნირი ჭადრაკში.

-19 დეკემბერს ჩატარდა 2024 წლის წარმატებული სპორცმენებისა და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე სამტრედიელების დაჯილდოვების ღონისძიება.

-25 დეკემბერს საახალწლო ნაძვის ხის ანთებასთან დაკავშირებით გაიმართა ჯგუფი „რეგიონის“ კონცერტი , გაიმართა დრამერების შოუ პროგრამა და ბავშვების საზეიმო განწყობისათვის მოწვეული იქნა ანიმაციური პერსონაჟები.

-28 დეკემბერს ჩატარდა საახალწლო კონცერტი , მოეწყო საბავშვო გასართობი სივრცეები, ასევე მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა გაყიდვა.

- წლის განმავლობაში სხვადასხვა კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებებისათვის განხორციელდა ყვავილების შესყიდვა და ტრანსპორტირება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებისა მოცემულ პერიოდში პარალელურ რეჟიმში სამსახურის მიერ ხორციელდებოდა სამინისტროების, გუბერნიისა და მოქალაქეების, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და მიწოდება როგორც წერილობით ასევე ელექტრონული ფორმით, ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდა შესაბამისი სამინისტროების, საპარლამენტო კომისიების მიერ მოწყობილ ონლაინ ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში.

სამტრედიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილება

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყო 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, რომელიც კანონის ფარგლებში დამტკიცდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

საანგარიშო წლის ბიუჯეტის პროექტის რედაქტირება, დამტკიცებული ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა 2024 წლის განვალობაში საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით უზრუნველყოფილი იქნა 9-ჯერ, რაც დამტკიცებულია საკრებულოს შესაბამისი დადგენილებებით.

მომზადდა ბიუჯეტის შემოსავლებისა და გადასახდელების კვარტალური განწერა და წლის განვალობაში საკრებულოს განკარგულებაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად მიმდინარეობდა დაკორექტირება.

ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ინფორმაციის შეკრება, გაანალიზება და შესაბამისი წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება ხორციელდებოდა პერიოდულად კვარტლის შესრულებიდან გამომდინარე.

წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების (ა(ა)იპ და შპს) მიერ გაწეული ხარჯების მიზნობრიობის, მიზანშეწონილობის და ეფექტიანობის შეფასება. საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შესატანად წინადადებების მომზადება და წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად მერიასა და საკრებულოში წარდგენა.

2024 წლის 1 მარტიდან დაიწყო მუშაობა 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად.

საჭირო ინფორმაციის შეკრება და დამუშავება ფინანსთა სამინისტროს მიერ მიზნობrივი და კაპიტალური ტრანსფერების მოცულობათა შესაბამისად განხორციელდა მუნიციპალური პროგრამების, საფინანსო გაანგარიშებების, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

შედგენილი იქნა 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად, პრიორიტეტების დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა, ასევე შედგენილია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გზამკვლევი.

2025 წლის ბიუჯეტის პროექტი (პირველი წარდგენა) თანდართულ მასალებთან ერთად 2024 წლის 15 ნოემბერს წარდგენილი იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოში, პროექტი შენიშვნებით დაუბრუნდა მერს. საკრებულოს მიერ გამოთქმული შენიშვნებით შესწორებული ბიუჯეტის პროექტი წარდგენილი იქნა 10 დეკემბერამდე და დამტკიცდა კანონით დადგენილი ვადაში.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და“ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 70-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი, თანხით 25 887.4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო წლის ბოლოს დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 46.179.8 ათ.ლარს. სხვაობა 20.292.4 ათ.ლარი.

ადგილობრივი შემოსულობები განისაზღვრა 25 617.9 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგადასახადო შემოსავლები - 22 037.1ათასი ლარი.

- სხვა შემოსავლები - 2 714.3ათასი ლარი.

- არაფინანსური აქტივების კლება - 866,5 ათასი ლარი.

თორმეტ თვეში ბიუჯეტის მიმართ განხორციელდა ცვლილებები და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 46179,8 ათასი ლარის ოდენობით.

საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრა -22 037.1 ათასი ლარით.

- სხვა შემოსავლები განისაზღვრა - 1 934.6 ათასი ლარით
- არაფინანსური აქტივების კლება - 2 940.2 ათასი ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 15 624.9 ათასი ლარით.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 269,5 ათასი ლარით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილება

2024 წლის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების ანალიზი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის წლიურმა შემოსავალმა შეადგინა 43086,9 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 101,3 %-ით, (წლიური გეგმა 42536,8 ათასი ლარი) საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 22947,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 104,1 %-ია, გეგმა 22037,1 ათასი ლარი მათ შორის: დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 19680,9 ათასი ლარი, მიწის გადასახადიდან ულია - 1363,5 ათასი ლარი, ქონების(იურიდიულ და ფიზიკურ პირთა) გადასახადი 1902,7 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩამორიცხულმა ტრანსფერის ოდენობამ შეადგინა -15248.4 ათასი ლარი.

სხვა (ადგილობრივი) შემოსავლებიდან მიღებულია 1945,5 ათასი ლარი, გეგმა 1934,6 ათასი ლარი, შესრულება (100,6%-ით)

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალია - 2945,9 ათ.ლარი, კერძოდ შემოსავალი ძირითადი ქონების გაყიდვიდან - 316,9 ათ.ლარი და შემოსავალი მიწის გაყიდვიდან - 2629,0 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 100,2%-ით.

ხოლო, რაც შეეხება 2024 წლის შემოსულობების შესრულების შედარებას 2023 წლის ანალოგიურ პერიოდის ფაქტთან (35641,9 ათასი ლარი), შემოსულია 7445,0 ათასი ლარით მეტი.

შემოსავლების შესრულების მაჩვენებელი სახეობების მიხედვით შემდეგია:

2024 წლის წლიური შემოსულობები ათას ლარებში:

N	დასახელება	გეგმა	ფაქტი	შესრულების %
1	შემოსავლები სულ	42536,8	43086,9	101,3
2	საგადასახადო შემოსავლები	22037,1	22947,1	104,1
3	გრანტები	15624,9	15248,4	97,6
4	სპეციალური ტრანსფერი	0	0	0
5	სხვა შემოსავლები	1934,6	1945,5	100,6
6	არაფინანსური აქტივები	2940,2	2945,9	100,2

ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა (მუხლობრივ ჭრილში წლიურ გეგმასთან მიმართებით, ათას ლარებში):

N	დასახელება	გეგმა წლიური	ფაქტი წლიური	%
1	ხარჯები	46179,8	41378,5	89.6
2	შრომის ანაზღაურება	3967,5	3855,6	97,2

3	საქონელი და მომსახურება	3739,5	3239,5	86,6
4	სუბსიდია	12042,0	11906,3	98,9
5	სოციალური უზრუნველყოფა	2338,8	2326,1	99,5
6	სხვა ხარჯი	3268,1	2145,6	65,7
7	გრანტი	116,5	112,2	96,3
8	პროცენტი	31,7	13,8	43,5
9	არაფინანსური აქტივი	20605,6	17709,3	85,9
10	ვალდებულებების კლება	70,1	70,1	100,0

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის წლიურმა ხარჯებმა დარგების მიხედვით შეადგინა:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი შეადგენს - 5205,9 ათას ლარს.

2. ეკონომიკის განვითარება - 22012,0 ათასი ლარი. მათ შორის:

2. 1 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება - 12998.7 ათასი ლარი.

2.2. საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - 6,2 ათასი ლარი.

2.3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები - 633,4 ათასი ლარი.

2.4. სოფლის მეურნეობის განვითარება - 264,5 ათასი ლარი.

3 . დასუფთავება და გარემოს დაცვა სულ - 3729,3 ათასი ლარი. მათ შორის:

3.1. დასუფთავება - 698,1ათასი ლარი.

3. 2.. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვწნებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება - 739,8 ათასი ლარი.

3.3. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება - 2291,4 ათასი ლარი.

4. საბინაო კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია სულ - 4379,9 ათასი ლარი. მათ შორის:

4.1 ბინათმშენებლობა - 1523,0 ათასი ლარი.

4.2 წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია -59,7 ათასი ლარი.

4.3 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 733,3 ათასი ლარი.

4.4. სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები - 2063,9 ათასი ლარი.

5 . განათლების დარგით გახარჯულია სულ- 5452,4 ათასი ლარი, აქედან:

5.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სუბსიდირებაზე - 4240,5 ათასი ლარი.

5.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტირება) – 682,5 ათასი ლარი.

5.3 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა - 213,9 ათასი ლარი.

5.4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი -315,5 ათასი ლარი.

6. კულტურა , რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 5333,7 ათასი ლარი, აქედან:

6.1. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშნებლობა რეკონსტრუქცია - 792,6 ათასი ლარი.

6.2. სპორტული სკოლები - 2138,6ათასი ლარი.

6.3. კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 1402,9 ათასი ლარი

6.4 ახალგაზრდული ორგანიზაციების,კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება - 232,8 ათასი ლარი

6.5. საინფორმაციო მომსახურება - 170,5 ათასი ლარი

6.6. ხონი სამტრედიის ეპარქია - 260,0 ათასი ლარი.

6.7. კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა - 336,3 ათასი ლარი

7. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - სულ - 3374,5 ათასი ლარი, მათ შორის:

7.1. ჯანდაცვის პროგრამები -222,2 ათასი ლარი.

7.2 სოციალური პროგრამები - 2908,8 ათასი ლარი.

7.3. საზოგადოებრივი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრის მშენებლობა -60,0 ათასი ლარი.

7.4. სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებულ მოქალაქეთა დახმარება- 183,5 ათასი ლარი.

შესყიდვების განყოფილება

2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოების ანგარიში

2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაფორმებულია 320 ხელშეკრულება, მათ შორის:

- გამარტივებული შესყიდვით გაფორმებულია 201 ხელშეკრულება, ღირებულებით -2 623 122 ლარი, მათ შორის:
- 115 ხელშეკრულება გაფორმდა „მონეტარული ზღვრის“ დაცვით;
- 11 ხელშეკრულება გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთნხმებით „გადაუდებელი აუცილებლობიდან“ გამომდინარე;
- 10 ხელშეკრულება გაფორმდა „ექსკლუზიური უფლებამოსილების“ ფარგლებში;
- 2 ხელშეკრულება გაფორმდა „ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების“ ფარგლებში;
- 2 ხელშეკრულება გაფორმდა „განსაზღვრული წლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალებების“ ფარგლებში;
- 4 ხელშეკრულება გაფორმდა წარომდაგენლობითი ხარჯის ფარგლებში;
- 1 ხელშეკრულება გაფორმდა კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევის საფუძვლით;
- 46 ხელშეკრულება გაფორმდა „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების“ საფუძლით, რომლებიც შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამას და ინტერნეტმომსახურების შესყიდვას.
- 32 ხელშეკრულება გაფორმდა კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, ღირებულებით 1 414 587 ლარი;
- ელექტრონული ტენდერით გაფორმებულია 88 ხელშეკრულება, ღირებულებით - 23 817 305 ლარი.

შესყიდვების განყოფილების მიერ სულ გამოცხადებულია 122 ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე:

- შეწყვეტილია 7 ელექტრონული ტენდერი;
- არ შედგა 21 ელექტრონული ტენდერი;
- უარყოფითი შედეგით დასრულდა 6 ელექტრონული ტენდერი;
- ხელშეკრულება გაფორდა 87 ელექტრონული ტენდერის საფუძველზე;
- შერჩევა-შეფასების ეტაპზეა 1 ელექტრონული ტენდერი.

2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გამოცხადებული ტენდერებით მიღებული ეკონომია შეადგენს 1 440 998 ლარს (25 258 303 (გამოცხადებული) – 23 817 305 (დაკონტრაქტებული).